



# ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1270  
06/07/2018

ქალაქი ბათუმი

1270-05-4-201807061423



**ლენა გელაძეზე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - განათლებისა და კულტურის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ძეგლთა დაცვის განყოფილების III რანგის II კატეგორიის უფროს სპეციალისტზე - განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსის დროებით მოვალეობის დაცისრების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს - 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ - საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-9 პუნქტის საფუძველზე ვბრძანებ:

1. ლენა გელაძეს - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - განათლებისა და კულტურის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ძეგლთა დაცვის განყოფილების III რანგის II კატეგორიის უფროს სპეციალისტს დაეკისროს ამავე სამსახურის, განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსის დროებით მოვალეობის შესრულება, ამავე თანამდებობაზე მომუშავე მადონა დავითაძის სავადმყოფო ფურცელზე ყოფნის პერიოდით, 2018 წლის 02 ივლისიდან.

2. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს (ტ. ნაკაშიძე) უზრუნველყოს შრომის ანაზღაურება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი  
ხელმძღვანელობა